 სრულეს და დაჳკუეთეს ენაჲ მისი. ამისსა შემდგომად ვითარცა ავა-
 ჴაკოთა განსდარცუეს შესამოსელი მისი და განსხიზნეს იგი კელით და
 ფურკით და საბელნი იგი მოახნეს შეშათა აღმართებულთა და ლამზ-
 რებითა სწუვიდეს ასოთა მისთა და კუალად ქვათა მიერ მახვლთა გა-
 ნანხეს მუცელი მისი და შინაგანი ნაწლეუთა მისთაჲ დასთხიეს ქუეყა- 15
 ნასა ზედა. და ვიდრელა ჳერეთ იუო მის თანა მცირე სამშხველი,
 აღმოჳკადნეს თუალნი მისნი და ასოეულად დაჳრეს იგი. ესრეთ უკუე

236a ღუაწლით-შემოსილმან მან აღასრულა სერობაჲ თჳსი || და ესრეთ მხია-
 რულებით დაუტეგნა კორცნი, ვითარცა აწლა გამომაგაღმან სასძლოჲთ
 ქალწულებისაჲთ, და წარმოუდგა სიძეს თჳსსა ქრისტესა და ღირს 20
 იქმნა თუალით ხილვად მისსა და მკვდრ სასძლოჲსა მისისა, განმუე-
 ნებული და შემკული ყოფლით-კერძო საწერტელთა მისთა-გან უფროჲს
 რქროჲსა და ქვისა ჰატოსისისა და მარკაელიტისა და ტუავისა შეწა-
 მულისა და სხჳსა ყოფლისაჲე სასძლოჲსა სამკაულისა.

ხოლო ქალწულნი იგი სხუანი თანაზიარნი სიფლტოლისა მისი- 25
 სანი, რომელთა გუნდი იუო რიცხუთ სამეოცდაათი, და ამათგანნი რი-
 ცხუთ ოც და ათორმეტნი ვითარცა მიიწინეს წარმანვად გუამსა მო-
 წამისსა, ივინიცა შეპურობილ იქმნეს მტარვალთა მიერ და მათცა
 მახვლითა მიიღეს აღსასრული. და უშესაძინელეს ყოფლისა საიასისა
 ჰოვეს განსაცდელი იგი, რომელსაცა მოსწრაფედ ეძიებდეს, და რაჲმს 30
 ერთისა მის გუამსა ეძიებდეს, სრულიად ცოცხლებით მიემთხვნეს მას
 და მის თანაჲე შევიდეს სასძლოსა და მასვე სიძესა ხილვად ღირს

იქმნეს. ხოლო ნაწილნი იგი მათნი მკლველთა მათ მათთა მიერ
 მკეცთა მიეუარნეს და რომელთაჲ იგი უმრავლესი ნაწილი მათ მე- 236b
 ეჭაჲ, სატანჯველთა მიერ მათის მას ნეშტსა მკეცთა სსჯმელ ჭყოფდეს
 და არა თავს-იდებდეს, რათამცა კელითა წუერიელთა ქრისტეანეთაჲ-
 5 თა საულავად მიტეულ ივენეს.

და ვითარცა მიიქცა მზარეულთ-მთავარი იგი მოწუედისა-გან
 წმიდათაჲსა და იკითხვიდა მეუთ[სა]-გან და ეტყოდა: „აჲ ესერა ბრძანე-
 ბისა თქუენისა-ებრ მოიკლას რითსიმე. აწ უკუე ვითარ ჭბრძანო სიკუდილი“
 ლი გაიანესი“. ხოლო თრდატ ვერ გულის-ხმსა ყო სიტყუაჲ იგი,
 10 რამეთუ წარეწუმიდა ცნობაჲ გულის-თქუმისა მიერ. ვიდრეჲ ვერცა
 თუ აღმოუშვინად შემძლებელ იყო და განლიგებული იტყოდა, ვი-
 თარმედ „სადა არს აწ რითსიმე და სადა ვიხილო რითსიმე, მომე-
 ცით ხილვაჲ რითსიმესი თუაღითა ჰემითა“. ესრეთ უკუე იტყოდა
 ვითარცა განსრული ცნობისა-გან და განიღჲს რაჲ სიმორვალისა მის-
 15 გან ვითარცა ძილისა-გან ღრმისა და ისწავა ყოველივე განცხადებუ-
 ლად, რადენი იგი ებრძანა. და ვითარ აღსრულებულ იყო ბრძანე-
 ბული მისი, მუის განბორცტნა და გოდებით კმობდა, ვითარმედ „რად
 არს || აძულეთ რითსიმეს ვიდრე აღსსრულა[დ]მდე, რათამცა შორხილ 237a
 ჩემდა ქმნულ იყო“. ამისსა შემდგომად უბრძანა გაიანესი, რათა გა-
 20 ნაშინ კისრით და მიერ აღმოსწუადონ ენაჲ მისი და ეგრეთვე იგი
 ცა უწყალოდ მოკლან, და შესძინებდა სიტყუად, ვითარმედ „ჯერეთ
 არცა ესე სასჯელი ღირსებით შეეტუეების მას, რამეთუ მან და მის-
 მან ბორცტმან ენამან დამაკლეს მე შეენიერებაჲ რითსიმესი და ვი-
 თარცა მან წარმიწუმიდა სიტკობებაჲ იგი სულისა ჩემისაჲ, ეგრეთვე
 25 თქუენ ბორცტად მოკალთ არაწმიდაჲ იგი“.

ესე ესეგითარნი რაჲ სიტყუანი ესმნეს მზარეულთ-მთავარსა მას,
 წარვიფანა გაიანე სხუათა თანა ქალწულთა ორთა და მიიუფანნა ად-
 გილსა მას, რომელსა ეწოდების კიდი მდინარისა ღრმისაჲ, სადა იგი
 იყო წესი ტანჯვად ძვრის-მოქმედთა, და თჳსით თავით დასძინებდა
 30 სატანჯველთა, რამეთუ ჭკონებდა, ვითარმედ ფრიადითა მით ტანჯვი-
 თა დიდთა ნიჭთა მიჭმადლებს მეიუესა. ამისთჳსცა სობორკილით გან-
 ფიცხნებოდა მათ სუელა.

ზირველად უკუე გარდაზნეს სამოსელნი მათნი და განსხივნეს
 იგინი კელით და ფერკით, დაუტღვეს კოჭთა მათთა ზედა და გან-
 237h ბენეს იგინი სახედ თხიერთა | და ვითარცა ამდღდა ტყავი შენა-
 წვევებისა-გან კორცთაჲსა, წარჭკადეს ტყავები წმიდათაჲ ეოვლად-
 საწყალობელთა მათ და უვეს საქმე ესევეთარი, რომელსა არცა თუ
 ხილვად თავს-იღებენ თუაზნი ღმრთის-მოყუარეთანი. ხოლო ნეტარ-
 ნი იგი დადაცათუ ტყავისა-გან კორცთაჲსა განშიშუდდეს, არამედ
 შეწევნისა-გან ღმრთისა არა განეშორნეს, რომლისა მიერ დაცუულნი
 სასურველსა მას მათსა ქრისტესა ეძიებდეს და მისსა მიმართ იტ-
 უოდეს: „მომიკსენენ ჩუენ კაცთ-მოყუარეო შეუფეო, რამეთუ შენ-თვს 10
 238a მღვსწედებით დღითი დღე და შევირაცხებით შენ-თვს ვითარცა ცხო-
 ვარნი ელვადნი“. ხოლო მზარეულთ-მთავარმან მან, ვითარცა იხილსა
 ესრეთ თვნიერ მწუხარებისა წარკადა ტყავისა მათისაჲ, ვითარმცა
 ვის სამოსელი აღეძარცუებოდა და ლოცვაჲ იგი მათი ღმრთისა მი-
 მართ, ბრძანა, რათა სიტყუსა-ებრ. შეუვისა დაჭკუეტენ ენანი მათნი, და 15
 ესრეთ განაზნეს ქედნი მათნი და აღმოშკრეს ძირნი ენათა მათთანი
 და აღმოჭკუეტენ სრულად. ამისსა შემდგომად აღიხუნეს ქვანი მ-
 ხჯენი, მიმსკავსებულნი დანაკათანი, და მით განაზნეს მუცელნი მათნი
 და გამოეყარნეს ნაწლეგნი მათნი || წინაშე ფერკითა მათთა და ებ-
 რეთდა მახჯითა წარჭკუეტენ თავნი მათნი. ხოლო იყო დღე იგი, 20
 რომელსა შინა იწამა წმიდაჲ რითსიმე, ოც და ექუსნი თვსა სეკტეშბე-
 რისაჲ. და მასვე დღესა მოსწედეს სიმრავლენი იგი ქალწულთანი,
 რომელნი მისრულ იუვნეს წარმარვად გუამსა მისსა. და შემდგომად
 მათსა დღითა ერთითა ნეტარმან გაიანე წარვლად სტადიონი მარტ-
 ლობისაჲ. მისთანათა მათ თანა ერთა ქალწულთა. 25

ხოლო ამისსა შემდგომად წარ-რად-კედეს ექუსნი დღენი და დაჭ-
 ნებოდა თრდატ ცეცხლითა გულის-თქემისაჲთა. განიზრახს განსდ-
 ვაჲ ნადირობად და განეშზადა რაჲ და აღმკედრდა, მუის განვიდა ქ-
 ჯაქით, ხოლო სასჯელმან არა დაიყოვნა, არამედ მუის ბრძოლა უფო
 მას სიბორკილით. და ვითარცა ეშმაკეული ბორკდა და სრულად 30
 უფლებულ იყო სენისა-გან ბორკტისა და კბილითა მოიჭამდა კორცთა
 თვსთა და შეცვალეულ იქმნა სახისა-გან კაცთაჲსა სახედ ღორისა

და რომელი არს უმეტარ არს ნაბუქოდონოსორისა მას სახისა
 შეცვალებას; მის გამო აწაფენ სხეცა თრდატისი | მისითავე შეცვა- 238b
 ლებითა შეცვალებულისაჲ, რამეთუ მისსავე უძღებებას და უწესობა-
 სს იქმოდა და მასვე სიბრძნესს. და იყო გარეშე თრდატისი დორ
 5 და განმაცხადებელ შინაგანისა მის ჯეჯურებისა და მწერისა გულის-
 თქუმათაჲს და სხვსა მის ღრებრივისა სულისა და ქცევისა თანა
 სახე ექმნა შეცვალებადცა ხატისაჲ.

და არა ხოლო თრდატს შეემთხვა სიბრძნე ესე საქმისაჲ,
 არამედ მის თანა მკედართაცა მისთა და რადენნიცა იყვნეს მთავარ-
 10 თა-გან და მოქალაქეთა თანაზიარ კადნიერებისა მისისა. იგინიცა აღ-
 სავსე იქმნნეს ეშმაკეულებითა. ხოლო სხუათა მათ ერთა აქუნდავე
 ზარი და შიში ვნებულთა მათ-გან კურნებისა წადიერებაჲ და სამა-
 რადისაჲ. ზრუნვად თავთა თვსთა[ჲ]. და წადიერ იყვნეს, რათა არა მათ-
 ცა ეგრეთვე მსგავსად შეემთხვას, და კუადად ისწრაფდეს, რათა
 15 შიშიედ ვნებულთაცა აღუსუბუქდეს და სენისა მის-გან განთავისუფლდეს.

ხოლო ვიდრედა იგი სომხითი ესევითარითა ვნებითა მწარედ
 განილეოდა, ჩუენებაჲ იხილა დამან || მეფისამან, რომელსა კუსარო- 239a
 დუხტ ეწოდებოდა სახელათ. ხოლო ჩუენებისა მის სახე ესრეთ იყო.
 რამეთუ ნათელი რამე სახითა ვაფისაჲთა შეცვალებულ იყო და რე-
 20 ცა ეტყოდა მას, ვითარმედ გრიგოლი, რომელი იგი მათ ძუელ
 ოდესმე შთაგდეს ჯურღმულსა არარატისასა, აღმოიგნონ თუ მიერ
 შეესეულად დაიკსნეს განსცდელი იგი მათი. ხოლო უკუეთუ ესე არა
 უონ, არცა განსცდელი იგი დაიკსნას, არცა იზოფოს რაჲ სხუაჲ სა-
 კურნებელი ვნებისაჲ მის. ესე რაჲ ეუწოა ჩუენებისა მის-გან კუსა-
 25 როდუხტს, რამეთუ ძუელ იყო იგი მწუნარებითა განსცდელისა-თვს
 ძმისა თვისისა, მუის უოველთა მიუთხრა ჩუენებაჲ იგი. ხოლო იგინი
 განცზბრებულად ჰგონებდეს მას, რამეთუ ვინაჲ ესვიდეს დაშთმად
 ძუელსა ერთსა ძუელთა-გან გრიგოლისთა. ამისთვსცა ეპიტხვდეს
 და ჰბასრებდეს სიტუუათა კუსაროდუხტისთა.

ხოლო ვინაჲთგან ბრძნე იგი უფროჲს აღემატებოდა და ჩუენე-
 30 ბაჲ იგი ზედამს-ზედა ხილვად არა დაეცადებოდა და დედაკაცი იგი
 დაჲ მეფისაჲ. ჭირსა შინა | იყო, ამისთვსცა აიძულა ერსა მას, რათა 239b

საქმით აღასრულონ ჩუენებაჲ იგა. ხოლო მათ წარავლინეს ჯურ-
 ღმულსა მას არარატისასა კაცი წარჩინებული სსხელით ავტაიას. და
 ვითარცა მიიწია იგი ქალაქად, ჰკითხვიდეს მას მკადრნი ქალაქისანი.
 მიზეზსა მუნ მისდგისსა და ეცინოდეს მას და უკვრდა იუ ვითარ
 ჯერეთ ცოცხალთა თანა ეპიებენ, რომელი დაღაცათუ მკუდართა თანა 5
 დაფლულ იყო, ვერგეშტა ეგო გუამი მისი ესოდენთა წელთა, არაშედ
 სრულიად მიწად შეიცვალებოდა. ხოლო სატრახლსმან მან, რამეთუ ესე
 იყო ზატეფი ავტაიაჲსი, მიუთხრა მათ ჩუენებაჲ იგი და წარდგა
 ზირსა ზედა მღვმისა მის და უკმა სსხელით გრიგოლის. ხოლო მან
 შეესუყლად კმა-უყო და ვითარცა ესმა ზასუხი სიტყვსა მისისაჲ კაცსა 10
 მას, მუის შთაუგდო საბელი და ევედრებოდა, რათა მიიღოს იგი და
 მოირტყას, რათა აღმოიფხანონ, და შესძინებდა სიტყუად, ვითარმედ
 „ღმერთსა უბრძანებოეს აღმოიფხანებაჲ შენი მაგიერ“.

240a ესრეთ უკუე აღმოიფხანებულ რაჲ იქმნა მიერ ნეტარი || გრიგო-
 ლი საბელთა მიერ, დაშავებულ იყო ყოველი გუამი მისი სიმრ- 15
 ვლისა-გან წელთაჲსა და მწვრისა-გან და უეისა. კარნა წელითა გან-
 ბანეს იგი და ბრწეინვალედ შემოსეს და ღირსებით და ზატეფსად
 წარიეფხანეს იგი ქალაქსა ვალეროშენსა, რამეთუ მუნ იყო მეფე მს-
 თი თრდატ შეცვალებული სსხედ ღირისა და აღსავსე სიბრკელით-
 თა და უბადრუკებითა. ხოლო მიეკებოდადეს წმიდასა გრიგოლის მთა- 20
 ვარნი იგი სატრახლსნი და ყოველი სიმრავლე და მათცა სსხე ღირე-
 ბისაჲ ზედა ედვა. კარნა ხოლო უსუბუქეს სენსა მეფისასა იყო სენი
 მათი, რომელნი იგი შეუვრდეს ფერკთა ნეტარისათა და მკურნალედ
 ევედრებოდადეს შეწყალებად მათდა წმიდასა მას და განკურნებად ბო-
 როტისა მის-გან ეშმაკუელებისა და სენთა სიბოროტისა. 25

ხოლო წმიდამან მან უბირატეს ყოფლისა იძინა ნაწილნი წმიდათა-
 ნი, რათა უჩუენნენ მას. და იხილნა რაჲ, შეკრიბნა ერთად, რამეთუ შეუ-
 რაცნებით სხმულ იეფნეს იგინი ცხრასა დღესა და ეგოდენსავე დამე-
 სა და არაჲ შემთხუეულ იყო მათდა სსხე ხრწნილებისაჲ და დაც-
 240b ვულ იეფნეს ყოვლად შეუხებულად | ძაღლთა-გან და მფრინველთა და 30
 მკეტთა. და ვითარცა აღიხუნეს იგინი მიერ, განძარცუნეს შესამსუელ-
 თა-გან თვსთა და ბრწეინვალედ წარკრავნნა, რამეთუ მოაროუმიდეს

მას შეეუ და მისთანანი სამოსელთა დიდფასისათა. და ეგრეთ დასხ-
ნა იგინი სწწესელთა მათ შინა სამოსლებით-ერთ მათით ადგილსა
მას, რომელი იგი სდგურ ექმნა მონაშეთა სიტყვასა მათსა და
ქაღწეულებრივთა მათი ფერკით მათთა-გან დატკებნილ იქმნა.

5 ამისსა შემდგომად იწყო დამე უფველ ლოცვით ვედრებად ღმრთი-
სა და ვითარცა განთენა, განჭვინნა ერისა მიმართ სიტყუანი სწა-
ვლისანი. ხოლო ვედრებაჲ მისი ღმრთისა მიმართ ესე იყო, რათა ზი-
რველ თრდატის ღვრებრივისა მის სახისა-გან შეცვალებისა მიენიჭოს.
მას გულის-ხმის ეფოჲა სიტყუასაჲ და გრძობაჲ ძალისა უითაჲეულისა.
10 თქუელთა [ა]სა [ა]. და მიერთიგან იწყო ნეტარმან გრიგოლი და განცხ-
დებდა ძალსა ღმრთისსა და ჩუენდა მომართ მოწყალებისსა თუ ვი-
თარ საკრველებითა აცხვანა იგი გაჩუჲე უფლისაჲე კაცთა ბუნებისა
და ცნობისა. და უგუეთუ არა ზეგარდაჲისა მადლსა ვინ მიანემოს, ვერ ||
ადვილად სარწმუნო უნდეს სიტყვასა მისი. ამისსა შემდგომად ამ- 241a

15 ხილებდა ერსა მას უწყალებისა-თჲს, რომელი აჩუენეს წმიდათა ზე-
და მოწყეთა ქრისტესთა. და ამას თანა ასწავებდა, ვითარმედ ზირ-
ველ უფლისა უკმს მათ საცთურისა-გან კერზთაჲსა განუენებაჲ და
მოქტევაჲ ღმრთისა მიმართ ჭეშმარიტისა. და ვითარმედ უგუეთუ შეი-
ცვალენ ბოროტად-მსახურებისა-გან, შეის მასჲე უამს იქმნას კურ-
20 ნებაჲ სენთა მათთაჲ.

ამას თანა კუადად უთხრობდა მათ შემოკლებულად შესაქმისა-
თჲს სოფლისა და ცხორებისა-თჲს საუკუნოჲსა. და კუადად საიდუ-
მლოთაჲცა ახლისა ადთქუმისათა და კაცთა მომართ ქმნილისა მის კაცთა-
მოუყარებისსა. კუადად შესძინა თხრობად ესეცა, ვითარმედ მღჲშესა
25 მას შინა ზეცითა გარდაჲოკდა მის ზედა ანგელოზი და მის თანა იყო
და განაძლიერებდა მას და დაიცვა ბოროტთა-გან შეუხებელად და ვითარ-
მედ არცა აწ განუენებულ არს, არამედ წინაჲე თუაღთა მისთა ეჩუენების
და თერად ბრწეინვალედ და გამოუთქუმელად განანათლებს. და დასა-
სრულად ამის ეოვლისა განუჩინა, რათა ეკლესიაჲ ადუშენონ წმიდათა
30 მათ მონაშეთა. და სხუაჲ მრავალი ასწავა მათ და მუნ | მყოფნი იგი 241b

უფველნი აუერთხნა, და რამეთუ მწუხრი იყო, განუტევა კრებული იგი.
ხოლო ხვალისაგან ამცნო უფველსა ერსა, რათა იმარხვიდენ

სამეოცთა დღეთა და თუთ თავადმან მიიუფანხნა ზირველ მის მიერ გან-
 სწავლულნი იგი და დაკლებული წესი უოველი აღესრულა და ცხო-
 რებად სათნოებისა მიუწოდა მათ და განაკურვნა სულნი მათნი შუკრად
 და მსგავსებად თჳსსა და ესეგითართა შესაკრებელთა ქმნასა უშურ-
 ვქლად მიჭმადლებდა მათ. ამას თანა კუადად საიდუმლოდ იგი ჩუე- 5
 ნებისაჲ მიუთხრა მათ, რამელი იგი მარტოებით ეხილვა. ხოლო
 წინაშე უოველთასა განაცხადა და იუო იგი არა უნაკლუფეფანეს სხუა-
 თა მათ სასწაულთა საკურველებისა-გან, არამედ საშინელ სახილველად
 და აღმავსებელ სასმენელთა სახარებითა ცხორებისაჲთა, რამეთუ იტ-
 უოდა და თქუა:

„ეგრედ ვხედვედ, რამეთუ ცანი რეცა განხუმულად საგონებელ
 იუვნეს და ბუელოდე[ს]მე ზეადუფანებულნი იგი წყალნი განუინულნი
 242a ბიმიერ და ამიერ განუოფილ || იუვნეს და ეგნეს დამტკიცებულად თი-
 თოაუელი თჳსსა კერძოსა ზედა. ხოლო სახე რამე კაციისაჲ ბრწეინ-
 ვაღეთა რათმე ელფათა განუტეგებდა და აქუნდა კელთა მისთა კუე- 15
 რი თქროდსაჲ და სტემდა ქუეფანასა და ნათელი ზეკარდამოჲ
 მტხინვარეთა შარავანდელთა განჭუენდა და კიდეთა ქუეენისათა გა-
 ნანათლებდა, და აჳა მკედრობანი ვინმე ფრთოფანნი, და თითოეუ-
 ლი იგი ნათელ იუვნეს და ზეცით კარდამოვიდოდეს, და სუეტი ცე-
 ცხლისაჲ ფერთა თქროფანთა [...] და მწითლფარე წინაშე მათსა ვიდო- 20
 და. და კუადად სხუაჲ ნათელი და ნათელსა მას აქუნდა სახე ჭუა-
 რისაჲ, ხოლო სუეტი იგი დიდ საგონებელ იუო და მალელ ზეშთა
 საზომისა და სხუანი სამნი სუეტნი უდარესნი მისსა მსგავს თჳსსა
 სღვითა საგონებელ იუვნეს. არამედ ერთი იგი სუეტი დადგა ადგილ-
 ს მას, სადა იგი აღსრულებულ იუო ნეტარი რიფსიმე სხუათა თა- 25
 242b ნა ქაღწულთა ოც და ათცამეტთა, და სხუაჲ იგი სუეტი მიიწია ადგილ-
 ს მას, სადა იგი უოფლად-ქებულმან გაიანე დაადგა გზგზნი მოწა-
 მებისაჲ სხუათა თანა ერთა ქაღწულთა. ხოლო მესამე სუეტი მიიწია
 საწნეხელთა მათ, სადა იგი ზირველ დამალულ იუვნეს წმიდანნი, სადა
 იგი დამთრამილ იუო ერთი მათგანი, რამელი იგი სხუელებისა-თჳს 30
 ვერ წარვიფტოდა მიერ, და მასვე ადგილსა შესუა სისხლი იგი წა-
 მებისაჲ უტკბილესი უოფლისა ღვინისაჲ და მხიარული ზირითა სერ-

5
10

15

20

25

30

- ვიქლად მოუკდა მას და მდებარე იყო მას შინა მსგავსად ტუგნის
 კეთილის არა ფერკითა მართაფთაჲთა დაწინებელი, არამედ კელითა
 უღმერთთაჲთა მოკლული. ხოლო ამის ყოფლისა შემდგომად მიხუ-
 ნებდა მე სახილავი იგი სიმრავლეს ცეცხლისა საკურთხეველთასა. და
 5 იყო სახე ჟუარისაჲ მისვე ნათლის-გან გამოსახული თითოეულთა
 მათ ზედა საკურთხეველთა და წყაროჲ. რამეჲ გამოდიოდა მათ-გან,
 ძნიად მისხედველი სიმრავლითა წყალთაჲ[თა], რამეთუ ესოდენ უშურ-
 ველად გამოსცემდა, ვიდრეღა დაჭურვიდა პირსა წინამდებარისა მის
 ყოფლისა ქუეყნისსა. ამას თანა || კუალად ვხედვედ არვესა თხათასა, 243a
- 10 რომელნი იგი მართხმულ იუვნეს სიშავითა თმისაჲთა. ხოლო გან-
 ვლიან რაჲ წყალი იგი, შეიცვალნინ სახედ ცხოვართა და სიშავე იგი
 თმისაჲ მიემსგავსის სპეტაკობასა თოფლისასა, რომელ სთქუმტა, ვი-
 თარმედ მრისუველისა მიერ განიშარსნეს შავისა მის-გან თმისა და მის
 წილ გარდართხნეს თეთრითა. ხოლო საგონებელ იყო რეცა თუ მო-
 15 ბენ ცხოვარნი იგი და ახალშობილთა მათ თმაჲ მდიდარ იყო და
 სიმრავლე ურიცხუ, რამეთუ განთენილ იუვნეს ადგილსა ვრცელსა
 ვიდრეღა ზემთა იქმნებოდეს ხილვისა-გან თუაფთაჲსა. და კუალად
 საგონებელ იყო შობად აწლას შობილთა მათ-გან და რომელნიმე მათ
 კრავთაგანნი შეიცვალებოდეს მეღად და შეშქამდეს ცხოვართა მათ და
 20 ბორცოსა უყოფდეს და განშქრელ ექმნებოდეს, ხოლო რომელთაჲმე
 მათგანთა მოეცნეს ფრთენი და ესოდენ აღორძინდეს ვიდრეღა თანა-
 მფრინვალე იქმნეს ერთა მათ თანა ნათლისაჲთა და შეესწორებოდეს
 მათ, ხოლო სხუანი იგი მკელთა მიერ განიჭრებოდეს. ამისსა შემ-
 დგომად შეის გარდამოკდა ზეცით მკელთა მათ ზედა წჷმად ცეცხლი- 243b
- 25 საჲ და განახნეღა მათ, განშქრიდა და შესწუვიდა და არა განეკებო-
 და მათგანი არცა ერთი. კუალად ამას ყოველსა თანა იხილვებოდეს
 სხუანი სუეტნი ღრუბელთა-გან აღმართებულნი და თავებითა და სივრ-
 ცითა მსგავსნი პირველთანი, და საკრველ იყო სახე და ხილვაჲ მათი.
 „ამათ და ესევითართა ხილვათა მიერ განკრთომილ ვიუფ მე გო-
 30 ნებითა და უფროჲსად შწუხარე, რამეთუ უცნაურ საგონებელ იყო
 ჩემდა ჩუენებაჲ იგი, არამედ დასაბამითგან ჩემ თანა შეოფმან და
 რომელმან იგი მიჩუენა მე ჩუენებაჲ ესე, ანგელთაზმან უფლისა ყოფ-

ლისა მზერობელისაჲს, მწუნარებაჲცა იგი განმიქარვა და სჯარვეულ-
ბაჲ იგი სიტკობებად შეცვალა და რასა საცნაურ ჭეოფდა ძაღვი იგი
ჩუენებისაჲ, უფველთ განმიმარტა სიტყუთა ესევითარითა.

„ვითარმედ ცათა იგი განხუმაჲ და ორჯდ განუოფაჲ იგი შეეინ-
ბულისაჲ მის მოასწავებს წყალობათა ღმრთისა კაცთ-მოუწყარებისათა
ზირველ დაკშუელს და შემტვიცებულს და აწ განღებულსა თხსთა შე-
ქმნულთაჲთჲს. ხოლო ზესკნელს ცათა მეოფნი იგი წყალნი საცნაურ

244a

ჭეოფენ, ვითარმედ არა არს უენებაჲ მათი, რომელთა ენე||ბის ზე-
ცად აღსლვამ არცაჲინ მაცელიობელ. რამეთუ წმიდათა მოწამეთა გუნდ-
მან და სხუათა მათ თანა მოღუაწეთამან ესრეთ განავრცეს გზამ ზე-
ცად აღსლვისაჲ და უძრამელად სჯალ ეგეს, განახლეს და წინამავალ
იქმნეს. ხოლო რომელსა იგი კუერთნი ოქრომსა კელთა აქუნდა და
სცემდა ქუეუნანსა, იგი გამოასინებს საღმრთოსა განგებულებასა, რა-
მლისა მიერ კერზთა საცთური განიკადეს და მის წილ ჭეშმარიტებაჲ
შემოიფანოს. ხოლო ნათელი იგი, რომელი კიდეთა ქუეუნისთა მის-
წუთებოდა, სახე არს იგი ქადაგებისა მის სახარებისა[ჲ]სა განფენისაჲ
და მის მიერ უფველთა ზედა ბრწუინვალებისა მიოფენისაჲ. ხოლო მოწა-
მეთა თანა მისლვამ იგი და თანამავალბამ ანგელთათაჲ სახე არს
სხუათაცა კაცთა თანა უოფისა და ქცევისა და მკვდრობისა ანგელთა-
თამსა და კორციელთა თანაზრახვისაჲ უკორცოთა მიერ. ხოლო სუე-
ტი იგი და ოქრომს-ოფრობამ მისი და სლვამ მოასწავებს ქრისტეა-
ნეთა საწმუნოებისა ღმრთივ-შუენიერებასა და სიწმიდესა, ხოლო ჯუა-
რი იგი ნათლის-სახე ექმნების წესსა მღდელობისსა, ვინამაგან მოა-

5

10

15

20

244b

ქუს მღდელსა|სახე დიდისა მის მღდელთ-მოავრისაჲ, რომელმან
ჩუენ-თჲს თავს-იდვა ჯუარითა სიკუდილი. ხოლო დიდი იგი სუეტი
ნათლისაჲ სახე არს კათალიკე ეკლესიისაჲ, რომლისა მიერ აღვი-
წიენით ნათლად დაუსრულებულად ღმრთის-მსახურებისა და ცხორები-
სა. ხოლო სამნი იგი სუეტნი უმცირესნი, რომელნი მავალად საგო-
ნებელ იფენეს ესოდენტაჲ, ეკლესიათა სახესა გამოასხვენ, რომელთა
საფუძველი დაიდგას, და აღეშენენ თითოეულსა მას ზედა ადგილსა
ქრისტეს მოწამეთა აღსასრულისსა. ხოლო კუალად უფველსა მას
ქუეუნანსა განფენილ[ნი] იგი საკურთხეველსა მოასწავებენ უოფლითა

25

30

კერძო ეგუტერთა აღშენებას. ხოლო ჟჳარის სახე იგი ზედა კერძო
 მათსა გამოსახავს, ვითარმედ ცეცხლითა სულისა წმიდისაჲთა შეიწი-
 რვის უსისხლო იგი მრგულიად-დასაწუგელი მსხუერხლი მისაკსენე-
 ბეჲად და დიდებად ჩუენ-თჳს ჟჳარცუმულისა უფლისა. ხოლო არვე
 5 იგი თხათაჲ და წყალს შინა განვლად იგი მათი და ცხორად შეცვა-
 ლებაჲ და მატულისა სისხეტაკე და განმრავლებაჲ მათი მასწავებს
 ნათლის-ღებისა მიერ განწმედსა || ცოდვილთასა და მიტევებასა ცო- 245a
 ღათასა და შეიღიერებასა და ნაყოფიერებასა სათნებათასა და აღორ-
 ძინებასა და განმრავლებას მარწმუნეთასა. ხოლო რადენნი იგი მტკ-
 10 ლად შეიცვალდეს, იგინი მასწავლებენ უკუნაღესებლას მას შეცვა-
 ლებასა ქრისტეს მტუჟართასა და განდგომილებასა ქრისტეანეთა-გან
 და თანაზიართა შობისა მათისათა. ხოლო რომელნი იმგნით
 წინააღმდეგომ მათდა, იგინი მსგავს ექმნებიან ფრთავანთა მათ და
 მსწრაფელ აღფრინდებიან ფრთითა სარწმუნოებისაჲთა ზეცად. ხოლო
 15 წჳმად იგი ცეცხლისაჲ გამოსახავს გეჭენიასა მას, რომელმან შეიწინა-
 ნეს განმდრეკელნი იგი მართლისა სარწმუნოებისანი, და მკეცთა
 მიერ განჭრილი იგი სამწესოჲ მასწავებს განბძარულთა მათ მკეცი-
 სა მიერ ბორბოტთა წვალებათაჲსა. ხოლო სუეტნი იგი ღრუბლისანი
 მასწავლებენ ქუეყნით აღსვლასა შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა.
 20 ხოლო სულმცირე არს და სუბუქ აღსავალი იგი და იგი არს საჯდო-
 მული ეტლი წმიდათაჲ, რაჟამს მივიდოდინ მიგებებად უფლისა, რომ-
 ლისა სახე არს სუეტის თავები იგი და მასწავებს მერმეს მას ბრ- 245b
 წყინვალებასა, რომელი იგი დამარხულ არს წმიდათა-თჳს“.

ესრეთ უკუე წარმოუთხრას ნეტარმან გრიგოლი ერსა მას ჩუე-
 25 ნებაჲ იგი და აღსნაჲცა იგი ჩუენებისაჲ, რომელი გამოუცხადა მას
 ანგელოზმან მან. და ამით სახითა შეაძრწუნნა მსმენელნი იგი და გა-
 ნაცზბრნა და უბრძანა მათ, რათა მიცვალნენ მიერ ნაწილნი მოწამეთანი.
 ხოლო მათ ზირველად ეფულისა ისწრაფეს აღშენებაჲ ეკლესიისაჲ,
 და რომელნიმე ქვასა მოჭკრებდეს და რომელნიმე შეშათა ნაძსათა
 30 დასართველად სართულისა. და კუადად სხუანი თიკასა მოქმედებდეს
 და ესრეთ ეფუელი კელი ისწრაფდა, რათა არა უნაკლუდეჟანეს რაჲთ-
 შე იყო სხუათა მიერ მოღებულსა ნივთი იგი საშენებელად მოღე-

ბული მის მიერ და რათა ამით სახითა შიდად და შიგნიერ იწოდ-
ნენ, რადგა იგი შეწირონ მოწამეთა საყოფლისა შენებასა და საქმესა-
და ამას მღევანსა თუ ვითარ რომელთა იგი შირველ უწყალოდ მოს-
წუედდეს. ამით შემდგომად ვითარცა ჭეშმარიტად ღირსთა ჰატოვი-
სათა ეგრეთ ჯეროვანად ჰატოვ-სტემდეს.

ესოდენად დიდებად მოწამეთა განმზადნა ივანი სიტკბობამან
246a გრიგოლის სიტყუათამან და ბაკეთა || მისთა-გან განფენილმან მადლ-
მან, არამედ აქაცა იგივე ღმერთი იყო აღმარდინებულ მისაგებელსა.
ქაღწუელთა მათ მისა მიმართისა მოღუაწებისსა, რომელი იგი არცა-
და ჭირთა მათ შინა და ძვრთა მღვმისთა განუენებულ იყო მონისა 10
თვისისა გრიგოლის-გან. გარნა ჯერ-არს, რათა კუადად აღვიუვანო
სიტყუად თქუმად შემდგომსა შირველთქმულისსა, რამეთუ ესრეთ ნე-
ტარმან რად გრიგოლი გამოუსახა მათ სახე შენებისად და განუ-
წესა, მუის იწუეს მამენებელთა შენებად და ხურონი იქმოდეს ჯარ-
ნაკთა ნაძვსათა შემათა-გან ფრიად შუენიერთა და შეიქმნნეს ივანი
და სრულ იქმნნეს. არამედ აქა დასუენნა ნეტარმან გრიგოლი შეფე
და მის თანა წარჩინებულნი მისნი და ჰურქუა, ვითარმედ „არა ჯერ-
არს თქუენდა კელის-შიუოთაჲ გინა უოვლადვე შესებაჲ ნაწილთა წმი-
დათასა ვადრემდის ეგნეთდა სენსა მაგას შინა და რამეთუ არდა მი-
გიდებიეს წმიდაჲ ნათლის-ღებაჲ, გარნა მე კელითა ჩემითა ვჰმსახუ- 20
რო დადებასა მათსა“.

და ვითარ იგი იწუე ნეტარმან გრიგოლი დამარხვად მათდა და
246b ქმნასა მის საქმისასა ჯეროვანად მოსწრაფე იყო. მუის თრდატ | მუელ-
ლით-ურთ თვისით და სახლეულთ და უოვლით ერთ-ურთ და მთავ-
რებით მოიდებდეს სამოსელთა დიდოვანისათა და სახუეველთა ოქრო- 25
ქსოვილთა, რომელნი იგი შემდგომ იუენეს სიმძიმიითა ოქროსსაჲთა,
და კუადად თვთა ოქროსცა ფრიადსა და დასდებდეს კართა ზედა სა-
წნებელთასა. და ესრეთ დასნნა ნეტარმან გრიგოლი სამთა სოროთა
შინა გუამნი იგი მოწამეთანი და დაჭოიენა იგიწი საწნებელთა მათ ში-
ნა და აღასრულა დღესასწაული ჯეროვანი. ხოლო გამო-რად-ვიდა 30
კართა ზედა და იხილა მუნ მდებარე იგი ნიფთი სორო და გუელს-
მოდვინებაჲ მომღებელთაჲ მათ და ბრძანა, რათა დაჭმარხონ იგი ვიდ-

რემდის სრულ იქმნეს შენებაჲ იგი ეკლესიათაჲ და განიბანსენ იგინი ხათლის-ღებითა მწინკულისა მის-გან უღმრთოებისა.

მაშინ უკუე თრღატ იწყო ვედრებად წმიდისა, რამეთუ ჯერეთ-
 ღობრებრივე სახე ზედა ედგა, რათა გამაჩინო კერძოჲ მისი სახედ
 5 კაცისა. და ესრეთ ეტყოდა და ჰქრქუა, ვითარმედ „უწყო რამეთუ არა
 დირს ვარ, რათა განვიძარცო სრულად სირცხჳლისა-გან ჰირისა ჩე-
 მისა, და რათმცა ვიხილე თავი ჩემი კუადად. ვითარ || იგი ჰირველ 247a
 ვიყავ თრღატ, გარნა კელნილა თუ ჩემნი გინა ფერკნი შემიცვალენ
 ნუგეშინის-საცემელად განსაცდელისა, რათა მეცა თანამოქმედ ვაყო
 10 საქმესა შენებისსა“. ესე რაჲ ესმა წმიდასა გრიგოლის, შეეწუაჲ იგი
 და იწყო ვედრებად ღმრთისა და მვედრებულად მისა მიაგლინა ოხაჲ
 მოწამეთა [ჲ], და მუის კელნი და ფერკნი თრღატისნი იქმნეს ვითარცა
 კაცისანი. და მოიკუნებდა იგი ქველის-მოქმედებისა მას და სამადლო-
 ბულად მისსა თანამოქმედ იყო კელითა თჳსითა თხრასა მას ადგილი-
 15 სსა, სადა იგი დაისხმოდეს ნაწილნი წმიდათანი და ძლიერად აღ-
 მოჰკუეულა და დაადრმობდა. ხალხო დედოფალი აშხანაერი, რამეთუ
 ესე იყო სახელი მეუღლისა მისისაჲ, და დაჲ მეფისაჲ კუსაროდუბტ
 ითხოვდეს ნეტარისა გრიგოლისა-გან და ვითარცა ებრძანა მის მიერ,
 განჰკრებდეს იგინი სამოსლითა მათითა მიწასა მას აღმოთხრისსა
 20 თრღატის მიერ. და ვითარცა თხრალი იგი იქმნა სდროთაჲ მათ
 ფრიად დიდ, მოჰკრებდა მეფე ქვათა დიდთა საქმად შენებისა, რა-
 მელ ვერვინ სხუაჲ შეუძლებდა ტვრთვად ეკევითარსა, და მოიხუნა
 ბჳენიცა ტაძრისანი და წყირთლნი და ზღურბლნი და ბაჲაჰვარნი 247b
 და არა თავს-იდგა უოვლად, რათამცა სხჳსა კელთა მიერ მოხუმულ
 25 იუფნეს ესენი, არამედ თჳსსა ზურგსა ადგილებით მოიხუნა. და ესრეთ
 კეთილად სრულ იქმნა შენებაჲ იგი ეკლესიათაჲ.

ამისსა შემდგომად ადანთნეს სანთელნი და მოიხუნეს სამნივე
 იგი ღანჩაკნი მოწამეთანი და თითოეული თჳსსა ადგილსა ადჳმართ-
 ნეს, და ნეტარმან გრიგოლი ადჳმართა თითოეულსა ზედა სასწაული
 30 იგი საუფლოჲსა მის ვნებისაჲ ჰატიოსანი ჯუარი ქრისტესი. ხალხო
 ეკლესიანი არა თუ სამნი ესეოდენ ადაშენეს, არამედ სხუაჲცა იგი,
 რომელი ფრიად ჰმატს ამათ სიდიდით, რომლისა თუაღით ხილვად [...],

ხალხ კათოლიკელ სახელ-სდებს, და ესე უფუელნი ეკლესიანი გარე-
 შეზღუდნეს ზღუდეთა მიერ მალაღთა, რათა არა მრავალთა მიერ ს-
 ვალ იუოს, რაჟამს მივასლებოდინ ადგილსა მას. და კართა ზედა მის-
 თა ადჰმართა მოწამემან ქრისტესმან ჰატიოსანი ჟუარი და უბრძანა,
 რათა სიმრავლე მსოფლიოჲსა ერისაჲ მუხ შეკრებოდინ და თაჟუნის- 5
 ცემით და სურვილით შეემთხუეოდინ და ღმრთისა ალაფლენდენ მს-
 248a ხუჩრებასა თაჟუნის-ცემითა მით ჟუარისაჲთა. და ამას ჰყოფდეს და
 არა ხალხ სიტყვთ ჰმსახურებდეს, არამედ სარწმუნოებით და მარხ-
 ვით, და ესრეთ კეთილთა მათ თესლთა გრიგოლისთა მრავალ წი-
 ლად აღაზრდინებდეს.

ხალხ თჳთ თაჳადი შორის შევიდის შემოკრებულსა მას ერსა
 და ღოცვანი თჳსნი უფალსა მისცნის და ღოცვაჲ გუელს-მოდგინე-
 ბით აღესრულებოდა უფუელთა მიერ, რათა კუალად თჳსისავე მი-
 მართ სახისა აღვიდეს თრდატ მეფე იგი სომეხთაჲ. ხალხ ღმერ-
 თი, რამელი იგი მოშიშთა მისთა სწულაობს, ვითარცა მამაჲ, აქაცა 15
 განამრავლა უფუაჲ წულაობისაჲ და უხინო უო გარეშემოსილი იგი
 თრდატისდა სახე ღორებრივი და შინაგან მისსა დამკვდრებული იგი
 განდევნა ბორცოტი ეშმაკი და არა ამისსა მიმართ ხალხ განჰფინა
 მოწყალებაჲ, არამედ მსახურთაცა და მთავართა და მკედართა მისთა
 დაიკსნა იგინი მძლავრებისა-გან ბორცოტა ეშმაკთაჲსა და მძდობაჲ 20
 და დაწუნარებაჲ შეჰმოსა სულთა მათთა. ამათ უფუელთა თანა სიმრ-
 ვლემაწცა სხუათა ბევრთამან ჰოგა ცხორებაჲ, რამეთუ კეთროვანნი და
 248b წყლით-მანკიერნი და დაკსნილნი და განრღუეულნი და რომელიცა უინ
 იყო ვითარცა ბორცოტითა სენითა შეშურობილთაგანი უფუელნი იგინი
 კურნნეს და სენთა-გან სიმრთელედ შეიცვალნეს და ხაგუემთა თანა 25
 კორციელთა არაუნაკლეევენეს განყარნეს ხაგუემნიცა სულისანი. და
 თრადი მიიღეს შესაძინელი და უმრავლესი საშუებელი, რათა არა ხ-
 ლო კორცთაჲ, არამედ სულთაჲცა მიიღეს კურნებაჲ.

ამიერიტგან უკუე შემოკრებოდეს წმიდისა უფულით-კერძო მო-
 მავალთა ერთა სიმრავლენი და სწავლად ღმრთის-მსახურებისა. ეველ- 30
 კრებოდეს მას და უეჭუელად და მტკიცედ მიემთხუეოდეს კურნებასა
 სენთა თჳსთასა. ხალხ მეფე თრდატ და მთავარნი და მკედარნი მის-

ნი და წოდებნი იუფეს მკადრ ქუეყანას მას სომხითისასა, რომელ-
 თა იგი ბრწინვალებაჲ ღმრთის-მცნებერებისაჲ შეეწუნარა სიღრმეს
 შინა გულისსა და მიხედვიდეს თუაღითა მით კეთილად მხედველი-
 სს სულისაღთა, არა თავს-იდგეს აღშენებულად დგომად იგი კერპთა
 5 ტაძრებისაჲ და მითუე თუაღითა ხედვად მათიცა, რომლითა ხედვი-
 დეს წმიდათა ეკლესიათა. || ამისთვისცა წარვიდეს ნეტარის გრიგო- 249a
 ლის თანა და გარემოადგეს და მოაფხვნეს ტაძარნი იგი კერპთანი და
 ბომონნი დააქცინეს, დაამტყურინეს და საფუძველნი მათნი აღმოთხარ-
 ნეს და შთაგდეს ადგილთა მათ, სადა იგი დაუნჯებულ იუფეს საფუ-
 10 სენი, და ყოველივე იგი სიმდიდრე იავარ უვეს და ყოველივე გამოი-
 ძიეს და უჩინო უვნეს საუნჯენი იგი, რათა არა დაუშთეს მათ არ-
 ცათუ მტარე ნაწილი უღმრთოებისაჲ. ამისსა შემდგომად აღაშენნეს
 ეკლესიანი ღმრთისანი და ტაძარნი მოწამეთანი და გარეშეზღუდნეს
 იგონი და სიმდიდრე იგი კერპთა ტაძრებისაჲ და სამოსლები იგი დიდ-
 15 ფასისაჲ და ყოველივე საკმარნი და ნაქონებნი მათნი ღმრთისა ეკ-
 ლესიათა შეწირნეს და პირველ უნატოვად იგი ნიუთი და ნამეტნავი
 ჯეროვან და პატოქსან საკმარ უვეს.

ესრეთ უკუე ვერღარა ზოვეს განსუენებაჲ ბოროტად დამკადრე-
 ბულთა მათ ეშმაკთა ბომონთა მათ შინა, რამეთუ ვერ თავს-იდგეს
 20 მძლავრებაჲ იგი შეზობელთაჲ, არამედ დევნულებითა სასტიკითა გა-
 ნიკადებოდეს და შეძრწუნებულნი და ყოველად-წარგანუდიდნი ძაღლისა 249b
 გან ღმრთისა უბრძოლველისა დაღადებით აღიარებდეს მისსა ძლიერე-
 ბასა და თვისსა უნდაებასა. და არა ხოლო სომხითი ესრეთ უყოდა
 ღმრთის-მცნებერებითა და აღემატებოდა, არამედ სხუათაცა მომზღვრე-
 25 თა თვისთა წარმართთა კელსა აღუპერობდა და მსგავსებად და შურად
 თვისსა მოიზიდვიდა, და ესრეთ დიდ აუენეს ნაწილნი ღმრთის-მსახუ-
 რებისანი და საზღვარნი. ხოლო მუეე თორღატ წინაშე ყოვლისა ერი-
 სს განაქიქებდა თვისსა მას პირველ ცთომილებასა და უწყალოებასა,
 რომელი ახუენა ნეტარის გრიგოლის მიმართ, და კუადად მოწუეე-
 30 დასა მას შინა წმიდათა მოწამეთა და ღირსთა ქაღწულთასა და თვისსა
 მას ბოროტსა ტრფიადებასა და სასჯელსა მას ღმრთისსა, რომელი
 მოიწია მის ზედა, და კუადად სიმდიდრესა მას მადლთა და ნიჭთასა,

რომელი უკუნადასვენელ მოიწია მის ზედა ვედრებითა და მეოხებითა გრიგოლი საკვრველისადათა.

ამათ ესევითართა სიტუუათა მეფე იგი თითოეულად წარმოიტ-
 ედა და სახე ექმნებოდა და საბაძველ სათნოებისა მრავალთა და შუ-
 250a რად თვისს აღსძრვიდა მათ. რამეთუ ესევეითარი არს კელმწიფებაჲ 5
 და მარადის მოსწრაფე არს საბრძანებელთა თვისთა, რათა თანახატ და
 მსგავს თვისს ფუნეს იგინი ყოველსა შინა და მისდა მიმართვე აღს-
 ძრავნ მათ სიყუარულად და მასვე ტრფიალებად, რომელსა ზედა სა-
 ცნობელნი მისნი იხარებდეს. ესრეთ უეფე იუნეს იგინი და ესრეთ
 წერთუელად აღორძნდებოდა სათნობაჲ მათი, ვითარ იგი იგავი ძუელ- 10
 თაჲ მეტუელებს, ვინაჲცა განაზრახეს ნეტარისა გრიგოლისი, რათა
 განახინონ წინამძღურად და მთავრად ეკლესიისა მათისა, რათა რომე-
 ლი იგი ეპოვა მათ განმგებელ და მასწავლელ ცნობებისა, იგივე ექ-
 მნას მათ მმართველ და საჭეთ-მშურობელ, და ესრეთ მიაწინეს იგინი
 ნავთ-სადგურსა ღმრთისსა. მან ნეტარმან უწყოდა სიმაღლე იგი საუ- 15
 დრისაჲ და სიმძიმე ზრუნვათაჲ და რამეთუ ჯერეთ ჩხვლთა იყო მტე-
 ნარე იგი ნერვი საწმუნოებისაჲ და ფრიადი უკმა მადლუაწებით
 შრომაჲ და უშურველად რწუვაჲ, ამისთვისცა სტანოდა წინამძღურო-
 250b ბისა-თჳს ეკლესიისა და გარემოაქცევდა მას, ვიდრემდის ეჩუენა ან-
 გელთნი უფლისაჲ მეფესაცა და თჳთ წმიდასა მას და ამცნო ერთსა 20
 მას მტკიცედ ზერობაჲ განზრახვისაჲ, ხოლო მეორესა არწმუნა მიღუ-
 ბაჲ მდღელთ-მოდღურებისაჲ. და ესრეთ მეფემან ვინაჲთჳნი იხილა
 წმიდისა მის რწმუნებდა, რომელი იგი პირველ არა ირწმუნებდა, გა-
 მთარჩინა მთავართა თვისთა-გან კაცნი რიცხვთ ათექუსმეტნი და თა-
 ნაწარაყვანნა ნეტარსა გრიგოლის და წარავლინნა კესარიად კაბადუ- 25
 კიისა, რათა ლეონტის მიერ, რომელი იგი იყო მამინ მთავარეპის-
 კოპოსი კესარიისაჲ, კელთ-დასხმულ ექმნეს ნეტარი გრიგოლი ზა-
 ტივითა ეპისკოპოსობისადათა, და მიწერა მისსა ებისტოლეთ, რომელსა
 წერილ იყო ესრეთ:

„ბნელსა მოვეცვივით ჩუენ უკუნსა და სიმრავლესა თანა ცო- 30
 ღვათასა უღმრთოებისადა ბნელითა დანთქმულ ვიუვენით და მის მიერ
 ვერ შეუძლებდით მიხედვად ჭეშმარიტებასა, ვერცა ცნობად ზოგადსა

მას უბრუნებდა და მბადებელსა; არამედ მან სხუადცა მზე აღმომბრ-
 წინვა ჩუენ ქუეყანასა ზედა, დიდი გრიგოლი, და ქალწულნი || 251a
 მასწინსა წმიდანი, რათა მათ მიერ მიმიძღუეს ჩუენ ცნობად სი-
 ტობებსა და კაცთ-მოყუარებასა მისსა. ხოლო ჩუენ ვ: ჩემდა, რამეთუ
 5 დიდებულადცა ესე გრიგოლი და პატრიარქანი იგი ქალწულნი უწყა-
 ლობით და შეეცებრივ ვტანჯენით და იგინი სსსტიკებით მოგსწუ-
 ღენით, ეჭა უბადრუკებასადა ჩუენსა. ხოლო ესე უბრძოლელითა მით
 ძალითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა განძლიერებულნი, ვიდრე აღსა-
 სრულადრე ზემთა ექმნა და სძლო მძლავრებასა ჩუენსა და განვე-
 10 ღურებულსა მას სივერაგესა. არამედ არცა ესრეთ თავს-იდგა ხილ-
 ვაჲ წარწემედლელებისა ჩუენისაჲ განუცდელმან მან უფსკრულმან
 ღმრთისა სახიერებათამან, გარნა მოძღურებითა და ღოცებითა ამის
 ნეტარისა გრიგოლისითა და მეცხებითა კეთილ მძლეთა მათ ქალ-
 წულთა მოწამეთაჲთა აღმძარცუა ჩუენ ზრქელთ იგი საბურველი და
 15 ნისლი თუალთა მათ სულისათაჲ და მიმიძღუა ჩუენ ნათლისა მიმართ
 ჭეშმარიტებისა და მისსა მიმართ ცნობისა და სარწმუნოებისა. ვი-
 სნადცა მიზეზი იგი და ესევითართა კეთილთა მომატუეუბელი ჩუენი 251b
 და წინამძღუარი უცთომელი და განმგებელი ცხარებისა ჩუენისაჲ
 ღმრთივ-განბრძნობილი ესე გრიგოლი არა ხოლო ჩუენ გამოფირჩიეთა
 20 მოძღურად და მწუემსად ნეშტთა ამათ დღეთა ჩუენთა-თჳს და წინამ-
 ძღურად სათნოებისა, არამედ საღმრთოამანცა ჩუენებამან ზეგარდამო
 განზრახვასა ჩუენსა დაჭბეჭდა და ამას მორჩილებაჲ ჩუენი უბრძანა,
 რომლისა-თჳსცა წარმოვა[ვ]ლინეთ ესე ღირსებისა თქუენისა, რათა კე-
 ღლითა და ენითა შენითა სრულ ჰყო ესე პატრივითა მღდელთ-მოძღუ-
 25 რებისაჲთა და მსწრაფელ მოავლინო ესე მწუემსად სამწესოჲსა ამის“.

ესე და ესევითარი რაჲ ებისტოლე მიიღო მთავარეპისკოპოსმან
 ლეონტი, პატრივით და სიუყარულით შეიწინარა დიდი გრიგოლი და
 მოციქულნი იგი მის თანა და მუის შეკრებულთა მათ თანა მისთანა-
 თა ეპისკოპოსთა კელნი დასხნა და პატრიარქანდ და დიდებულად წარ-
 30 მ[ო]ცხავნა იგი. ხოლო აღმო-რამ-ვიდოდა მიერ ნეტარი გრიგოლი,
 იხილნა ქალაქნი იგი გზისანი, რომელნიცა წარმართებულ იყვნეს ჯე-
 რთვანდ სარწმუნოებითა და სიმრავლითა მღდელთაჲთა, და შემწინარე-

252a ბელ სიტუეასა || მოძღუერებისასა, ასწავა მათ სიტუეად ჯეროვანი და
 თანაწარმოიყვანნა იგინი, რათა აქუნდენ თანაშემწედ ღმრთის-მსახუ-
 რებისა და მსახურად სამღვდელთა წესთა ქუეყანასა მას სომხითისა-
 სა და ქალაქებსა მათსა, და ვითარცა მიიწია საზღვართა სომხითისა-
 თა, ჰოფა იქნ ტაძარი ერთი დაშთომილი საკურხოდ შესაკრებელად 5
 ირაკლიოვს-იჯს, აღშენებული მდინარესა ზედა ევფრატსა და იყვ-
 ნეს მას შინა ბომონნი აღმართებულნი, სადა იგი შეიწირვოდეს მსხუერ-
 ზლნი ირაკლე ჯერვისა და მის თანა მკვდრთა ეშმაკთა[დ]. ამას ტა-
 ძარსა მოუკდა დარღუევად არა კელითა კაცობრივითა, არამედ ჯოჯოხითა
 ხოლო ჯერინიხა დაქტევაჲ მანქანებსა მას ეშმაკთასა მყოფსა მას შინა, 10
 და სათუძველეთ-უქთ აღმართხარა იგი და სხუაჲ აღუშენა მის წილ
 ეკლესიაჲ საუფლოჲ და დასხნა მას შინა ნაწილნი, რომელ მის თანა
 აქუნდეს, იოვანე წინამორბედ[ი]სა და ნათლის-მცემელისაჲ და მღვდელ-
 მოწამისა ათინოგენისი. და აღჰმართა საკურთხეველი და მას ზედა

252b) შეწირა მსხუერზლი იგი საუფლოჲ და ზირველად ნათელსცა | მის- 15
 თანათა მათ მთავართა და ამისსა შემდგომად დაადგრა მუნ ოც დღე
 და სრულ ევნა ნათლის-ღებითა ერთი უმრავლეს ათერთმეტისა ბევ-
 რისა და განაჩინა მუნ დღესასწაული მკვდსა ოკტომბერისა, სადა იგი
 ზირველად აღუმართა საკურთხეველი უფლისა და დაადგინნა მღვდელნი
 და ლევიტელნი და თრთოეულთა მათ სოფლებისა ეკლესიათა ხუცესნი 20
 და დიაკონნი.

ხოლო შეუესა სომეხთისა თრდატს ეუწია რამ მთახლებად
 მღვდელთ-მოსძღურისა თქსისაჲ, მოკვება მას მდინარესა ზედა ევფრა-
 ტსა სომხარულითა ერთისაჲთა, მკუდლისა თანა და დისა თქსისა და
 სურვილით შეიტკბენეს და სიხარულით მოიკითხეს ურთიერთჲს, და 25
 იგი მოციქულებრსა აჩუენებდა მოძღუერებსა. ხოლო იგინი მისწრა-
 თებით ისმუნდეს და მკურნალებად შეიწყენარებდეს აქრემულთა მოსთა,
 და ამცნო მათ წმიდამან, რათა იმარხვიდენ ოც და ათ დღე და ილო-
 ცვიდენ. და ამისსა შემდგომად იწყო თჳთ მკუთისაჲთ და დუდოთუასსა
 და დასამეფონსსა და ეკველთა მთავართა ნათელსცა მდინარესა ში- 30
 ნა ევფრატსა და განაჩინნა იგინი ძედ ნათლისა და დღისა, და კუა-

235a ლად სხუაჲ ეკლესიაჲ | აღაშენა კიდესა მდინარისსა და მას შინა აღა-

სრულა საღმრთოად საიდუმლოად და ყოველივე წესი სამღვდლოად.
 ხოლო ღმერთმან არცა აქა დასცადა ყოფად საკურველებათა თჳს-
 თა, რამეთუ ვითარცა შთაკდეს იგინი ნათლის-ღებად მდინარესა მას
 შინა, იხილვებოდა სუეტი ნათლისაჲ დადგომილი წყალთა მათ ზე.
 5 და, რომლისა ბრწყინვალებაჲ დაჭყარვიდა შარავანდელთა მზისათა, და
 თავსა მისსა ზედა აღმართებულ იყო ჯუარი და ხილვად იგი მისი
 იყო საკურველ, რამეთუ დღე ყოველ იხილვებოდა იგი წინაშე თუალ-
 თა ერასა მის ნათელდებულისათა. ხოლო სიმრავლისა მათისა რიცხვ
 იყო უცნობელად და ჭკმმარიტად ათხუთმეტი ბევრი. ესრეთ უკუე
 10 დაყო მკდი დღე სხუად ადგილსა მას ნეტარმან გრიგოლი და ნათელ-სცა
 კაცთა უზეშთაესთა რიცხვსათა, და ჯერ-არს თუ რწმუნებაჲ სმენილსა
 მრავალთა მიერ მოწათეთა წმიდისათა, იყო რიცხვ რვა დღე ნათელდებულ-
 თაჲ მათ ოთხსა ბევრ, და მერვისა დღესა წარმოვიდეს მიერ დაიწყეს შენე-
 ბად ეკლესიათა ყოველსა შინა ქუეყანასა სომხითისასა. და წმიდამან გრი-
 15 გოლი დაადგინნა მათ შინა მღვდელნი ხოლო ჭმისხურებდა საკმარსა
 ეკლესიათასა მეფეცა თრდატ არა სულმთკლებით, არცა უღებებით, 253b
 არამედ მიანიჭებდა მათ რაოდენი კმა ეყოფოდა სოფლებსა და დაბ-
 ნებსა სახელგაფსსა, რათა უხუებით და სიმდიდრით ცხოვნდებოდინს.
 ვინაჲცა ეზისკოპოსმან გრიგოლი არა ამას ხოლო ზედა კმა იყო
 20 ქველის მოქმედებაჲ თჳსი, არამედ მუსიკთა კელფნებისა და ყოველ-
 თაჲ მოძღურებთა სიმრავლისა სასწავლოჲ განჭმზადა შორის ქალაქი-
 სა და განაწესნა მათ შინა მძღუარნი და მასწავლელები და ამას ება-
 ძვა მეფეცა და ერთკერძობანცა განმზადნა ეგვეთაწინვე ვითარ
 იგი სათნო და წმიდასა მას. და განვიდეს ქადაგნი ბრძანებითა გრი-
 25 გოლისა[ჲ]თა, რათა ყოველთა-გან ქალაქთა მოიყვანებდენ მისსა შვილ-
 თა მათთა სომეხნი იგი და ასწავებდენ წერილსა და წურთასა საღმრ-
 თოთა წიგნთასა. ესრეთ უკუე არა ხოლო სომხითი კარეშეიცვა მის
 მიერ ქადაგებამან ცხოვრებისამან, არამედ სპარსეთი და ასურეთი და
 მიდნი და რომელთა იგი უნნონ უწოდანს. ამათ ყოველთაგანნი
 30 ტკბილსა მას უღელსა ქრისტესსა მოიყვანნა ერნი მრავალნი. ხოლო
 დადაცათუ ღმრთის-მეცნიერებად მოყვანებისა-თჳს ყოველთაჲსა ესრეთ
 მოსწრაფე იყო, არამედ არცა ამას ზედა უღებ იქმნებოდა, || რათამცა 254a

ჭირთა და განსაცდელთა მათათა-თჳს არა ეღმოდა და ძკრთა მათათა-
 თჳს არა თანაზრუნვიდა, არცა შეწევნად მოსწრაფე იყო და ამას ზე-
 და უნაკლულევანესმცა განაგებდა დაკსნილობით არა ესრეთ ჭყოფდა,
 ნუ იყოფინ, არამედ კორცთა ვნებასაცა განმზადებულად მკურნალ
 იქმნებოდა და სენთა სულისათა განსდევნიდა და ბრძოლასა მათსა 5
 ურთიერთას და[ა]მშჯდებდა და იყო უმოსწრაფეს თხოვისა მინიჭებაჲ
 იგი მკედრებულთა სათხოველისაჲ და იგი შერაცხილ იყო მის მიერ
 მწუქმსად კეთილად, რამეღმან არცადა სულისა თჳსსა ჭრიდა მიცემად
 ცხოვართა თჳსთა-თჳს.

ამას თანა და საზურობილენიცა მის მიერ დაცარიელდებოდეს და 10
 კელით-წერილნი თანხადებთანნი განიხეთქებოდეს და მშჯდობას დიდ-
 სს მთეცვა უოველი სომხითი და შუებით ცხოვრდებოდეს. და ეს-
 რეთ დაუბრკოლებულად და უვნებულად ვიდოდეს გზასა ღმრთის-მის-
 ხურებისასა და უოველი სათნობაჲ და მადლი მათ შორის წარემს-
 ტებოდა და მრავალნი მონაზონებისა ცხორებასა აღიჩნევდეს და თი- 15
 თოსახეთა ადგილთა მონასტრებსა აღიშენებდეს და დაუუდებოსა შვი-
 254b უყარებდეს, | ხოლო შვილთა მათთა ჰიწვევ ურწმუნო ყოფილთა აღი-
 ღებდა ნეტარი გრიგოლი და უზრუნველათა ცხორებითა და კეთი-
 ლად-სწავლულებითა აღჭურდიდა მათ. და სულიერსა მოქალაქობასა
 და მადლსა მიანიჭებდა მათ და ესოდენსა სისრულესა სათნობათასა 20
 მოიყვანნა იგინა ფრიადის... დიხს იქმნეს დიდსა მასცა საუდარსა
 მდღელთ-მოძღურებისასა. რამეთუ ერთი იგი კიდეთა ეფთრატისათა
 ეპისკოპოსად განაჩინა, რამელსა ალვინოს ეწოდებოდა. ხოლო მე-
 რე, რამელსა ერქუა ევთალიოს, სოფელსა ზედა ბასიანელთასა,
 და მესამე მათი იყო ეასოს. და ესრეთ რიცხუ იგი ათად აღესრუ- 25
 ლებოდა. და მრავალნი სხუათაცა ნათესავთა-გან განმგებულად კკლე-
 სიათა განაჩინნა და იქმნა შემდგომად არამრავლისა უამისა რიცხუ
 მათ ყოველთაჲ ოთხსა. ხოლო ალვინოს, რამელი იგი ჭმატდა
 ყოველთა ვითარცა მოღუაწებითა და სათნობითა, ეგრეთვე სიმშჯ-
 დითა და სიმდაბლითა, ინება მის-თჳს დიდმან გრიგოლი რაჟამს თჳს 30
 ადვიდოდა მთასა მადლსა სომხითისასა ჩუეულებისა-ებრ უდაბნოს და-
 უუდებად და დაუტევა იგი, რათა მის წილ ადასრულოს ყოველი, რა-

მელი ეხილვა მის-გან, და თჳთ თავადი განეშორა მიერ და წარვიდა. || 255a

ხოლო მეფე უნუგეშინისცემოდთა აღსავსე იყო მწუნარებითა განშორებისა-თჳს ნეტარისა გრიგოლისსა, რომლისა-გან არცათუ მტირედ ენება განუენებაჲ, განს ნეტარსა მას ესოდენ აქუნდა სურ-
 5 ვილი დაუუდებისაჲ ვიდრეღა სძლევედა ვედრებისა მეუფისას. და წარ-
 ვიდა ვიდრეცა ენება და მტირედთა თანა მაწათეთა თჳსთა დაეუუდა
 ნაპრალსა შინა კლდისასა და თჳსგან ჳზრახვიდა სსსურველსა მას
 და არცათუ მტირედ მოიცილიდა ჳრუნვისა-თჳს კორცთაჲსა, რამეთუ
 თჳთ საჭიროსა მასცა და ეოველთა თანა წარუვაჲდა სსსურველსა ჳურ-
 10 სს არმეოცთა დღეთა შინა ერთგვის მიიღებდა. ხოლო მეფე თრ-
 დატ ფრად განილეოდა მწუნარებისა-გან წარსდვისა-თჳს ეოველდ-
 ქებულისა გრიგოლისსა და იგლოვდა რაჲ მისსა მას განშორებისა,
 ესმა ვიეთაგანმე, ვითარმედ არიან მისნი შვილნი ორნი, რომელნი
 ესხნეს მას შჯუელიერისა-გან შეუდღისა ოდეს იგი ჳკრეთ ჳბუეკლა
 15 იყო, რომელთაგანსა პირველსა ორთანე ეწოდების, ხოლო მეორესა
 აროსტაკე. და ორნივე იგი არიან დმრთის-მსახურ. და მოყუარე სს-
 თნობისა, და ჳტიფცემულ არს ორთანე ჳტიფითა ხუცობისაჲთა, |
 სოლო აროსტაკე შემეულ მონაზონებითა და სიყრმითგან შეუდაბ- 255b
 ნობითა და სრულიად უქორწინებლობითა და მოხუცებულ ხყოფიე-
 20 რებითა სულისაჲთა, რამეთუ მხალი ხოლო არს სსზრდეჲდა მისსა
 და სიყრმითგან თანაზრდილ მისსა არს ძღჳძარებაჲ და ჲოცნაჲ ჲა-
 მე და დღე და სადმრთოთა წერილთა კითხვაჲ.

ესე რაჲ ესმა მეფესა, ჳტიფ-სცა სათნობისა მათსა, რამეთუ
 ინანდა იგი პირველსა უგუნურებასა თჳსსა და სსწაულად სრულიადი-
 25 სს განთავისუფლებისა თჳსისა არა ხოლო თჳთ წმიდასა გრიგოლის,
 არამედ შვილთაცა მისთა ეოვლითურთ ჳტიფ-სცემდა და მუის საშინი
 კაცნი წარწინებულნი კესარიად წარავლინნა ძიებად მათდა. ხოლო
 მი-რაჲ-ვიდეს იგინი, ჳოვეს ორთანე განწესებულ რიცხვსა თანა ეკ-
 30 ჲესიისა მდღელთასა, ხოლო აროსტაკე დაუუდებით და უდაბნოს
 მჯდომარე და ძლით არწმუნეს მას და მიიუვანეს იგი მეუფისა. და ინი-
 ჲა რაჲ იგი მეფემან, სინარულით შეიწუნარა და ეკედრებოდა ნე-
 ტარსა გრიგოლის ეოვლით ერთ-ერთ და სსხედ და ხატად თჳს-

სა და ყოველითურთ ნაცვალად თავისა თვისის მიანიჭოს მათ არო-
 256a სტაკე || და კელო-უდვას მას ზატვი მღდელთ-მოდურებისაჲ. ხოლო
 წმიდამან მან არა თუ ესრეთ გარეწარად ყო სქემე იგი, არამედ რა-
 უამს იხილა ყოველივე სათნოებაჲ დანერგული სულსა შინა ძის თ-
 სისსა, მეესეულად დასსნა წმიდანი კელნი თვნნი და აკურთხა იგი 5
 ეზისკობისად და მის თანა მოვლო ყოველი იგი სოფლები და უფ-
 რისად განამტკიცა მათ შორის სიტყუაჲ საწმუნოებისაჲ და თავადი
 კუასლად იქცა ავსსავე სასურველსა დაუუდებსა.

ხოლო მათ უამთა შინა კოსტანტინე ძე კოსტახსი მეფე იქმ-
 ნა ბერძენთა ზედა და ძალითა ჯუარისაჲთა და ქრისტეს კეთილად- 10
 მსახურებთა დასცნა წინააღმდეგმნი და თვთ მხალმან დაიპურა
 თვთმშურებელბაჲ ბერძენთაჲ და ესე არს მეფეთა შორის, რა-
 მელი იწოდების ჩემ მიერ ერთად მოციქულთაგანად და ქადაგად ღმრ-
 თის-მსახურებისა, რომელმან დაარღვნა შეგინებულნი იგი ტაძრნი და
 ზომონნი კერზანი და აღაშენნა წმიდანი ეკლესიანი ღმრთისა-თვს. 15
 და ქრისტეს მიმართ წმიდაჲ აღსარებაჲ და მართალი საწმუნოებაჲ
 წიგნებთა და ბრძანებთა განჭვინა ყოველსა სამეფოსა თვისსა და
 256b ესევითარი მოსწრაფებაჲ მოიგო მის-თვს, ვიდრემდის სამსქათრვა-
 მეტნი მამანი შეკრიბნა წმიდასა მას კრებასა ნიკიისსა, სადა იგი
 აღმოჭვინურეს ყოველი ღუარძლი აღმოცენებული და განწმიდეს ჭკმ- 20
 მართი იგი იფქელი მართლმადიდებლობისაჲ.

და იუვენეს ორნივე ესე ვარსკულაჲ ბრწყინვალე კოსტანტინე
 და თრდატ, კოსტანტინე კერძოთა დასავაფისათა, ხოლო თრდატ
 აღმოსავალითა, და ბრწყინვიდეს და განანათლებდეს. ხოლო თრდატ-
 ცა მკურვალე ყო საწმუნოებისა-თვს და მარხვითა და ლოცვითა 25
 არაჩაჲთ დაკლებულ უდაბნოს მოღუაწეთა მონაზონთა-გან.

ხოლო კრებასა მას ნიკიისასა იხილვნეს ურთიერთას ორნივე
 ესე მეფენი და ჯერჯერნი ზატვი და ნიჭი ახუენეს ურთიერთას და
 ღმრთისმსახურებისა-თვს ერთობაჲ გონებათა მათთაჲ განაცხადეს.
 და მთავრებისკობისიცა სომხითისაჲ აროსტაკე მაწოდებულ იქმნა 30
 კოსტანტინეს მიერ მეფისა და თანადარაცნა კრებულსა წმიდათა
 მამათასა და მიიღო წიგნი იგი საწმუნოებისაჲ ზოგადითა ნებითა

და განზრახვითა უფუელთაჲთა აღწერილი და განმტკიცებული და თჳ-
 სადვე ქალაქად უკუმოქცა და დიდად სურვიელთა-გან სამწყსათა და 257a
 განშორებისა-თჳს მისისა მწუნარეთა სიხარულით შეწყენარებულ იქმნა,
 და აღავსა სიხარულითა თჳთ მეფე იგი ღმრთის-მყოყარე თრდატ
 5 უფული სომხითი ერთობითა მით სარწმუნოებისაჲთა, რომელი იგი
 ეგრეთვე ეგო სიმრავლესა ჟამთასა და მისცემდა უფუელთა სიმრავლე-
 სა კეთილად მსახურებისასა და უფუელთა მიერ იდიდებოდა ღმერთი
 მშჳდობისაჲ ქრისტეს იესუს მხერ უფლისა ჩუენისა, რომლისა თა-
 ნა მამასა შუენის დიდებაჲ და ჰატვი და სიმტკიცე თანა სულით
 10 წმიდით-ურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

სქოლიები

1518 დაირთვოდეს. 1628 კვ. 2110 მარხვამ ცერცვთა] მარხვამ და ცერცვთა. 2392 გულისა-კუმა. 2327 დაცევებულ. 2413 სახესასა. 251 მსახურთა] მსახურთა მიერ. 2691 მის] შ'. 2810 აღმოშქნეს. 305 დაღაცათუმცა. 307 საჯრაპესმან. 3091 სატრაპესნი. 3423 სახე სახე (ორჯერ). 3418 სახარეპსა მას. 3491 მას მას (ორჯერ).

საკიეველი

ავტაიას 30_{2,8}
 ათინოგენი 42₁₄
 ალვანნი 7_{4,5}
 ალვინოს 44_{23,28}
 ამოდისათა ადგილნი 26₁
 ანაკ 8_{2,10,20,25}; 9_{2,7,14,21,22}
 23; 10_{17,18,23}; 19₇
 არარატის მთა 8₃₀
 „ ქალაქი 19₂₆; 21₂₈
 „ ჯურღმული 19₁₄
 20₆; 29₂₁; 30₂
 აროსტაქე 45_{16,18,29}; 46_{1,2,30}
 არტადუხტ 4_{16,27}; 5₂₀; 6₃₀
 არტავან 4₁; 5_{8,24,26}; 5_{32,6,1}
 6_{2,10,25}; 1₁
 არტაშირ 4_{15,17,22,30}; 5_{5,16,19}
 23,32; 6_{3,8,17,20,28}; 7_{8,8,11}
 8_{4,7}; 9_{3,30}; 10₁₇
 არტემიდი 12₁₀; 20₁₂
 არშაკ 3_{14,15}; 4₃
 არშაკუნთანთა მეფობა 3₁₂
 არშაკუნთანნი 3₂₁; 4₂
 ასურასტანის ქვეყანა 7₂₀
 ასურეთი 4_{15,32}; 20₉; 43₂₈
 ასურეთისაჲ ქვეყანა 7₁₈
 აშხანავრი 37₁₆

ბასიანელთა სოფელი 44₂₄
 ბერძენთა ერი 10₂₁
 „ თვთმპყრობელობა 46₁₂
 „ მეფობა 20₁₆
 „ საბრძანებელი 9₂₆
 „ ქვეყანა 9₂₇
 ბერძენნი 10_{7,32}; 11_{2,4,7,8,25}
 30,31; 12₆; 46₁₀
 გაიანე 20₂₅; 22₃₂; 24₃₂; 25_{3,7,9}
 19₂₇; 28₂₄; 32₂₇
 გრიგოლ (პართელი) 3₃; 9₂₆
 10₈; 18₂₂; 12_{12,18,25}; 14₁₅
 17_{9,10}; 30₃₁; 18₃; 19_{13,22,23,30}
 29_{30,28}; 30_{9,14}
 15₂₀; 31₁₀; 35₂₄; 36_{7,11}
 13_{16,22,28}; 37_{10,18,29}; 38₉
 39_{6,7,29}; 40_{11,25,27}; 41_{2,5}
 43_{19,27,30}; 43_{10,14,15,19,24}
 25; 44_{18,30}; 45_{3,12,25,32}
 გუთთა ნათესავი 14₁
 გუთნი 11_{4,7,11,23,25}; 12₂
 დანიელი 24₄
 დიო 10₁₂
 დიოკლიტიანე 20_{16,31}; 22₂

ვეთალიოს 44₂₄.

ვეფრატ 42_{6,23-24,31}; 44₂₂.

ვალეროშენი 30₁₈.

ვართანე, იხ. ორთანე.

ვასოს 44₂₅.

ვალარშაკ 4₁.

ზიკას 5₁₅.

თრდატ 10_{4,6,20,24,26,29}; 11₁₅,

19_{20,25,26}; 12_{8,13}; 15_{6,26}; 16

29_{17,9,16,23,4}; 18₄; 19₁₀; 20₅;

22_{7,18}; 23₁₆; 24_{9,27-28}; 25

21₁; 27₉; 28₂₇; 29_{2,4,8}; 30

19₁; 31₈; 36₂₃; 37_{3,8,12,20};

38_{14,17,32}; 39₂₇; 42₂₂; 43

16₁; 45₁₀₋₁₁; 46_{23,23,24-25}; 47₄.

იესო 47₈.

იოვანე წინამორბედი 42₁₃.

იონა 24₂.

ირაკლე || ირაკლი 20₁₂; 42_{6,8}.

კაბადუკია || კაპადუკია 10₁₉; 40

23-26.

კათოლიკე 38₁.

კარინას 5₁₅.

კესარია 40₂₇; 45₂₇.

კესარია კაბადუკიისა || კესარია

კაბადუკიისა 10₁₉; 40₂₅.

კოსტა 46₉.

კოსტანტინე 46_{9,22,23,31}.

კუსარ 7_{1,10,18}; 8_{3,18}; 9_{9,31};

10_{3,16,18,21}; 19₈.

კუსაროდუხტ 29₁₇₋₁₈; 29₂₄₋₂₅;

29₁; 37₁₇.

ლეონტი 40₂₆; 41₂₇.

ლიკინიოს 11₁₂.

მასსაგეტნი, იხ. მაშზაგეტნი.

მაშზაგეტნი (მასსაგეტნი) 3_{9,19}.

მილნი 43₂₉.

ნაბუქოდონოსორ 29₁.

ნიკიის კრება 46_{19,27}.

ორთანე (ვართანე) 45_{15,17,28}.

პართეველი (გრიგოლი) 3₃.

პართი 19₇.

პართთა ერი 5_{22,25-26}; 6_{1-2,27}.

პართთა მეფობა 3_{5,15}; 4_{2,23};

8₉.

„ მთავრობა 7₃.

„ მპყრობელობა 3₅.

პართნი 3₁₂; 5_{1,3,29}.

რასტონისათა ადგილნი 8₂₈.

რიფსიმე 20_{26,28-29,32}; 21₅;

22_{9,23,27,29}; 23_{16-17,19,25};

24₁₂; 25_{1,3,7,10,12,23,25};

26₈; 27_{8,12,12,13,18,23}; 28₂₁;

32 ₂₅ .	სპარსთა ერი 5 ₂₂ ; 6 ₂ ; 7 ₁₁ ; 8 ₆ .
შაბერძნეთის ქვეყანა 10 ₅ .	„ მეფობა 3 _{5,15} ; 7 ₉ ; 8 ₈ .
შარკინოზთა ერი 7 ₁₈₋₁₉ .	„ მთაერობა 3 ₇ ; 7 ₃ .
სომეხთა მეფობა 7 ₁₋₂ ; 10 ₈ .	„ ხელმწიფება 5 ₅ .
„ მთაერობა 3 ₇ .	სპარსნი 3 ₁₇₋₁₈ ; 5 ₂₉ ; 6 ₁₈ ;
„ სამეუფო 20 ₈ .	7 ₂₅ ; 9 _{1-2,30} ; 10 ₁₇ ; 19 ₉ .
სომეხი 18 ₂₉ .	უნნი უნნონი 43 ₂₉ .
სომეხნი 7 _{10,17} ; 8 _{3,18} ; 9 _{31,31} ;	ქალდეველნი 4 ₃ .
10 _{3,16} ; 12 ₈ ; 19 ₁₈ ; 22 ₇ ;	ქართველნი 7 ₅ .
38 ₁₄ ; 42 ₂₂ ; 43 ₂₆ .	ქრისტე 16 ₂₆ ; 21 ₁₄ ; 22 ₂₉ ; 24 ₁ ;
სომეხეთი 8 ₂₇ . იხ. სომხითი.	18 _{19,22,24} ; 26 _{2,20} ; 28 ₉ ; 31
სომხითი 10 ₁₇ ; 11 ₁₅ ; 21 ₂₄ ;	16; 34 ₃₁ ; 35 ₁₁ ; 37 ₃₀ ; 38 ₄ ;
22 _{6,15} ; 29 ₁₆ ; 39 ₂₃ ; 42 ₄₋₅ ;	43 ₃₀ ; 46 _{10,16} ; 47 ₈ .
43 ₂₇ ; 44 _{12,31} ; 46 ₃₀ ; 47 ₅ .	ქრისტეანე 20 ₂₈ .
იხ. სომეხეთი.	ქრისტეანეთა წესი 10 _{20,28-29} .
სომხითის ერი 9 ₁₁ .	ქრისტეანენი 20 ₁₄ ; 22 ₈ ; 27 ₄₋₅ ;
„ სამეუფო 12 ₁ .	34 ₂₁₋₂₂ ; 35 ₁₁ .
„ ქვეყანა 7 ₁₆ ; 12 ₃₂ ;	ქრისტეს სარწმუნოება 14 ₂₀ .
19 ₉ ; 39 ₁ ; 42 ₃₋₄ ; 43 ₁₄ .	ჰინდოთაჲ მთაერობა 3 _{7-8,18-19} .
სპარსეთი 3 ₈ ; 4 ₃₂ ; 7 ₇ ; 9 ₂₅ ;	
20 ₈ ; 43 ₂₈ .	
სპარსეთის ქვეყანა 7 _{13,19} .	

სარჩევი

წინასიტყვაობა	V—VIII
ტექსტი—„ცხოვრება და მოქალაქობა და ამის- სა შემდგომად წამება წმიდისა მღდელ- მოწამისა გრიგოლი პართეველისა“	1—47
სქოლიები	48
საძიებელი	49—51

